

საპრეზიდენტი

საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის შედეგები

სამშაბათი 15 აპრილი 2000 №155 (1177)

ფასი 50 თეთრი

**კეთილი იყოს
თქვენი ხელ-ფეხი**



თემურ ქეცბაია: პირველი დივიზიონი, პირველი მატჩი, პირველი გოლი

**ქართული
კალათბურთი
გაუაგდა**



თბილისის „მაკაბიში“ ორი კამერუნელი ვარჯიშობს

**ორმაგი
ბასწრება**



მიკა ჰაკინენმა და „მაკლარენმა“ მიხაელ შუმასერი და „ფერარი“ ჩამოიტოვეს

ღარი თუ ღირა?

თუ ლიტვაში და იტალიაში მოიგებთ, 600 000 მიიღებთ, ღარიღნენ საქართველოს ნაკრებს

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ეროვნული ნაკრების წასახალისებლად ჩვენში დღემდე არნახულ თანხას ჩამოღის. გუშინ, ფედერაციის აღმასკომის სხდომაზე პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ განაცხადა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის პირველ ორ მატჩში, ლიტვასა და იტალიაში გამარჯვების შემთხვევაში ეროვნული ნაკრების მწვრთნელ-ფეხბურთელები პრემიად 600 000 ლარს მიიღებენ.



იხილეთ მესამე გვერდი

მერაბ ჟორდანია

თეირანი 43

ჯანაშია, რა თქმა უნდა, ავადაა, ხიზანეიშვილი კი სპარტაკმა გამოუშვა



რევაზ ქოძუაშვილი

საქართველოს ეროვნული გუნდი ხვალ თეირანში ირანის ნაკრებთან ამხანაგურ მატჩს გამართავს.

სამისოდ გუნდი კვირას შიგნით დილით საწვრთნელ ბაზაზე და გუშინ ერთობ შესუსტებული შემადგენლობით თბილისის „ლოკომოტივს“ გაეჯიბრა. მწვრთნელმა რევაზ ქოძუაშვილმა ნაკრების წევრების მზადყოფნა შეამოწმა და თავისი გუნდისად, რომელსაც მომავალ კვირას სლოვაკეთის „სლოვანთან“ უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩი ელის.

საწვრთნელი თამაში 2:2 დასრულდა. შემადგენლობები ასეთი გახლდათ: ნაკრები: გრიშკაშვილი, ქემოკლიძე, წერეთელი, სილაგაძე, ვაშაკიძე, კვარაცხელია, სიჭინავა, თოდუა, გოგიჩაიშვილი, გ. შენგელია, მენთეშაშვილი.

„ლოკომოტივი“: გვარამაძე (ლომაია), ლ. მიქაძე, ჭიჭევიშვილი, ბურნაძე, დავითაშვილი, ა. ჯელაძე, სალუქვაძე, ქოძუაშვილი, რუსია, ხუროცი, გონჩაროვი

მართალია, ნაკრების კენ ლოკომოტიველი გოგიჩაიშვილი და შენგელია თამაშობდნენ, მაგრამ ისინი თბილისში დარჩებიან და გუნდთან ერთად ივარჯიშებენ. ქოძუაშვილმა და ყიფიანმა სათამაშოდ 11 კაცი ვერ მოაგროვეს და ესენი ნაკრებს ამიტომ დაამატეს.

მატჩის შემდეგ კი მწვრთნელები განმარტოვდნენ და ერთსაათიანი სჯა-ბაასის მერე ის 18 ფეხბურთელი ჩამოგვითვალეს, რომლებიც ირანში ჩავლენ. ზემოჩამოთვლილ ლეგიონერთა გარდა, ნაკრებს ზოგი წუხელ უნდა შეერთებოდა, ზოგიც პირდაპირ თეირანს ჩაფრინდეს.

მეკარეები: სოსო გრიშკაშვილი (დინამო, თბილისი), დავით გვარამაძე (კრილია სოვეტოვი, რუსეთი), გიორგი ლომაია (ლოკომოტივი, თბილისი);

მცველები: მამუკა წერეთელი, ლევან სილაგაძე (ორივე ალანია, რუსეთი), სევასტი თოდუა (ლოკომოტივი), რევაზ ქემოკლიძე, ირაკლი ვაშაკიძე (ორივე დინამო);

ნახევარმცველები: თენგიზ სიჭინავა (დინამო), გიორგი ნემსაძე (დანი, შოტლანდია), ლევან კობიაშვილი (ფრაიბურგი, გერმანია), თემურ ქეცბაია (ვულვერჰემპტონი, ინგლისი), ზურაბ მენთეშაშვილი (სკონტო, ლატვია), გივი კვარაცხელია (ლოკომოტივი), გონა ჯამარაშვილი (ციურინი, შვეიცარია);

თავდამსხმელები: მიხეილ ყაველაშვილი (ციურინი), ალექსანდრე იაშვილი (ფრაიბურგი), შოთა არველაძე (აიაქსი, შოტლანდია).

იხილეთ მეორე გვერდი

გურამ დოღონაშვილის ფოტო

გურამ დოღონაშვილის ფოტო

ძოძუაშვილი რეჟანუს გვირდებს

უკვე ისეა ჩვენი საქმე, ლამისაა, ევროტურნირზე ქართული გუნდის ორბურთიანი სხვაობით წაგება გაგვიგვირდეს.

ცნობისმოყვარე ქობაგები „სლოვანი“ — „ლოკომოტივის“ მატჩის შემდეგ ანგარიშის გასაგებად რედაქციაში რომ გვირეკავდნენ, ამასაც კითხულობდნენ, ვა, მართლია, 0:2-ზე მეტი არ წაუგვიათო.

ახლა „ლოკომოტივის“ წინ საბასუსო მატჩი ვლის და გუნება, სხვა ქართული გუნდების ევროტურნირებზე თამაშით რომ მოგვეშაშაბა, ეგებ ოდნავ მაინც გამოგვიკეთდეს. მით უმეტეს, „ლოკომოტივის“ ფეხბურთელებიც იმედიანად არიან და ამბობენ, არ ვიყავით ბრატისლავაში დამარცხების ღირსნიო, თითქმის იგივეს იმეორებს რეინგზელთა მწვრთნელი რეგავ ბოძუაშვილიც, რომელსაც გუშინ შევხვდით და ეს ინტერვიუ ვთხოვეთ.

— ბრატისლავაში ფეხბურთელების თამაში კმაყოფილი ვარ. მათთვის სასაყვედურო არაფერი მაქვს — ვითხრა ბოძუაშვილმა — ეგაა, რომ ანგარიში არ ასახავს ძალთა რეალურ თანაფარდობას. შედეგი არ გვაკმაყოფილებს. 0:2 არ უნდა წაგვეყო, თუმცა... ჩვენი გამოუცდელია, ბულგარული მსაჯები, საეჭვო პენალტი. ჩვენს მიერ ხუთი, თითქმის — აპროცენტური საგოლე მომენტის გამოუყენებლობა — აი, მიზეზები, რამაც „ლოკომოტივის“ შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსები შეამცირა.

— მაინც რამდენით?

— ახლა ჩვენი შანსი დაახლოებით 40 პროცენტია.

— ძლიერი გუნდია „სლოვანი“?

— აღრეც ვთქვი, საშუალო რუსული გუნდის დონისაა. გამოკვეთილი ლიდერი არ ჰყავს, თუმცა რამდენიმე ფეხბურთელი ოსტატობით კი გამოირჩევა. „სლოვანი“ არ არის ის გუნდი, რომლის დამარცხებაც სამაჟურთიანი სხვაობით სასწაული იყოს. თბილისში ცოტა ღმერთმაც თუ გადმოგვხედა... — მოიგებთ?

— მთავარია, ბიჭებმა ისევე ითამაშონ, როგორც ბრატისლავაში. ძალიან მონდობილები იყვნენ, უბრალოდ ვეღარც მტოქეს გოჯს არ უთმობდნენ. მცველთა ერთი შეცდომა კი ძვირად დაგვიჯდა. მსაჯსაც, ხომ ვთქვი, შეეძლო ჩვენს კარში პენალტი არ დაენიშნა.

— ბრატისლაური თამაშიდან ვის გამოარჩევდით?

— პირველ ყოვლისა გოგიჩაიშვილს, რომელმაც მტოქეს უამრავი ხიფათი შეუქმნა და მეკარე ლომიას, უშეცდომოდ რომ ითამაშა. სხვებსაც არა უშავდათ. ახალწვეულებმაც ნორმალურად ითამაშეს. ისე, უკეთესი იქნება, საქართველოში ჩემპიონატი ოდნავ



ირანში გამგზავრებამდე საქართველოს ნაკრებმა გუშინ შეთხელებული შემადგენლობით დიდის ბაზაზე იგარჯინა

თეირანი 43

ჯანაშია, რა თქმა უნდა, ავადია, ხიზანაიშვილი კი სპარტაკმა გამოუშვა

დასაწყისი პირველ გვერდზე

მოსკოვის „სპარტაკიდან“ თბილისში ოთარ ხიზანაიშვილი ჩამოვიდა, მაგრამ მას ფეხი აწუსებეს და დღეს თეირანის ნაცვლად უკანვე, მოსკოვს გაფრინდება. როცა ოთარს ვკითხეთ, ფეხმტკივანი რატომ წამოხვედით, გვითხრა, „სპარტაკის“ ხელმძღვანელებმა მთხოვესო. ზოგი კლუბისგან, მაგალითად, მოსკოვისავე „ლოკომოტივისგან“ განსხვავებით, „სპარტაკში“ თურმე წესად აქვთ, ფეხბურთელს, თუნდ ტრავმირებულს, ეროვნულ გუნდში თუ გამოიძახებენ, კლუბი მას აუცილებლად ათავისუფლებს. ნაკრების ექიმები უნდა დარწმუნდნენ, რომ ფეხბურთელს თამაში არ შეუძლია. „ლოკომოტივი“ კი, ზაზა ჯანაშია ჯანმრთელიც რომ იყო, საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელებს ეუბნებოდა, ავადააო, ერთორ დღეში კი ფეხბურთელს რუსეთის ჩემპიონატში ათამაშებდა. ჯანაშია ეროვნულ გუნდში ვერც ამჯერად ითამაშებს, „ლოკომოტივის“ კვლავ უწინდელივით შემოუთვლია, ზაზას ფეხი ტკივაო. ბოძუაშვილსა და ყიფიანსაც ურწმუნიათ მოსკოველთა სიტყვების. ასევე ტრავმების გამო ხვალ ვერ



ოთარ ხიზანაიშვილი

ითამაშებენ კიონელი არჩილ არველაძე, კიევის დინამოელები კახა კალაძე და გიორგი დემეტრაძე. თბილისის „ლოკომოტივის“ ნახევარმცველ ზურაბ ხიზანაიშვილის ასავალ-დასავალი კი ნაკრების მწვრთნელებმა არ იციან. ისე, თავად ზურაბ ადრე გვითხრა, იტალიის „ლუჩეში“ მივლივარ და კარიერას იქ გავაგრძელებო.

ინგლისის „ჩელსის“ ნახევარმცველ რატი ალექსიძის გამოძახებისგან კი ნაკრების მწვრთნელებს ამჯერად თავი შეუკავებიათ. ბოძუაშვილმა გვითხრა, რატის შესაძლებლობები კარგად ვიცით, თანაც მარცხენა ჰაბეების ადვილზე რამდენიმე კანდიდატურა გვყავსო.

ლიურსელ გელა შევილაძეს და ჰსვის ნახევარმცველ გოგა გახოციძეზე მწვრთნელებს არანაირი ინფორმაცია არ ჰქონიათ და ამიტომაც არ გამოიძახეს. ამ სეზონში მათ თამაშზე ჯერ არაფერი გვსმენიაო, თქვა ბოძუაშვილმა და დააყოლა, ნაკრების ტაქტიკა შემადგენლობაზე დამოკიდებული და ირანთან უწინდელისგან განსხვავებულად ვითამაშებთო.

ფირმა „ლოტოს“ სამოსში გამოწყობილი ნაკრების წევრები ირანს, სადაც ბოძუაშვილის თქმითვე, შესაძლოა სიცხემ 40-43 გრადუსს უწიოს, დღეს ნაშუადღევს ჩარტერული რეისით მიფრინავენ, შინ კი 17 აგვისტოს დაბრუნდებიან.

კობა ინასარიძე

გუნთაქე აღარ დაუსტვენს

ოთარ გუნთაქე 1994 წელს ფიფას არბიტრი გახდა. წლების მანძილზე მან ეროვნული ჩემპიონატის და თასის გათამაშების ორასზე მეტი მატჩი განსაჯა. გუნთაქეს საერთაშორისო სარბილზეც არ შეურცხვინია თავი და ოფიციალურ თუ ამხანაგურ ოცდაათამდე შეხვედრას მომსახურებია.

დღეს კი... ვგრძნობ, დავიდალე. ოჯახურმა პრობლემებმა თავისი კვალი დამატყო, სათანადო მომზადება ვერ მოვასწარი. ასე კი ჩემს პრაქტიკულ საქმიანობას აზრი არა აქვს, არც თავს შევირცხვენ და ვერც კოლეგებს ვუკანებ, ახალ საფეხბურთო სეზონს მოუშვადებული ვერ შევხვდები, თქვა გუნთაქემ და სასტენი კედელზე ჩამოკიდა.

ასე რომ, მეთერთმეტე ეროვნული ჩემპიონატი გუნთაქისთვის ბოლო გამოდგა მის ხანგრძლივ, 20-წლიან კარიერაში. ოთარ გუნთაქემ მსაჯობას კი დაანება თავი, მაგრამ უსაქმოდ არ დარჩენილა. მან ოფიციალური განცხადება წარუდგინა სფფ-ის თავკაცებს, უფებურთოდ ვერ გავძლებ, იქნებ მსაჯთა კომიტეტში დამასაქმოთო. სფფ-მაც კეტერან არბიტრს ამაგი დაუფასა და სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის უფროსის, ანატოლი მილჩენკოს მოადგილედ დანიშნა.

ოთარი პროფესიონალია და ჩემი საქმის ღირსეულ გამაგრებლებლად მესახებაო, თქვა შავოსანთა თავკაცმა. გუნთაქე ახალ საქმიანობას ორშაბათიდან შეუდგა.

ბაბა კვანტალიანი



მოადგილე და უფროსი: ოთარ გუნთაქე (მარცხნივ) და ანატოლი მილჩენკო

მილჩენკო ჩაბპირონთა ლიგას მიუახლოვდა

ასამი გახარებული კარგა ხანია, არ ვყოფილვარ, ბედნიერი ვარ, რომ უფამ დაგვაფასა და ესოდნ დიდი პატივი მარგუნა — ეს სიტყვები „სარბილს“ სფფ-ის სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის თავკაცმა ანატოლი მილჩენკომ ერთი თვის წინ უთხრა მაშინ უფას გადაწყვეტილებით ქართველ შავოსანთა თავკაცი ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩის კომისრად დანიშნა. მილჩენკოც სასომხეთს გაემგზავრა და „მირაქსა“ და ბულარუსული „ბატს“ შეხვედრას მოემსახურა. სფფ-ის სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის თავკაცი გუშინაც ბედნიერი და გახარებული დავიხვდა — უფამ დიდი ნდობა გამოიძახა და ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩზე ინსპექტორად მიმავლინაო, გვითხრა მან მილჩენკო 23 აგვისტოს პრაღაში ჩავა. იგი „სპარტასა“ და „ზიმბრუს“ მატჩის ინსპექტორად დაინიშნული. იმედია, ჩემპიონთა ლიგის ვეგუფურ ეტაპზეც მომიწევს საქმიანობაო, გვითხრა ბატონმა ანატოლიმ.

აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ უფამ ამ ბოლო დროს საგრძობად სწყალობს ქართველ თემიდელებს ორი დღის წინ დანიდან დაბრუნდა ქართველ მსაჯთა ოთხეული ფანაშვილი, დოლიძე, გაბრიძე და მეშკოვი უფას თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩს ემსახურებოდნენ და საკმოდ მაღალი შეფასებებიც დაიმსახურეს, თანაც მასპინძელთა ერთგვარი რეკორდის თანამონაწილეც გახდნენ — დანიურმა „კაღემისკმა“ ფარეების „ტორსჰაენი“ მძი განადგურა.

ბაბა კვანტალიანი

გუშინ სპორტის დეპარტამენტის სააქტო დარბაზში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის მორიგ მერვე სხდომას უმაჰინძლია ვეველაფერი ძველებურად იყო: სტანდარტული დღის წესრიგი, დელეგატებს ერთხანს ჩაბნელებულ დარბაზში მოუხდათ ყოფნა (ელექტრო ენერჯია ნახევარი საათის დაგვიანებით წამოიწია აღმასკომის სამუშაო პროცესს), ჟურნალისტებს კი კარს უკან მოცდა. სხდომის ბოლოს ტრადიციული პრესკონფერენცია გაიმართა. ჟურნალისტების კითხვებს სფფ-ის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანიას და საშეჯიბრო კომიტეტის თავიკაცი ვია ფირცხალავა პასუხობდნენ.

რა მოხდა გუშინდელ სხდომაზე მნიშვნელოვანი? თითქმის არაფერი, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ აღმასკომის გადაწყვეტილებით, ეროვნულმა ნაკრებმა შესაძლოა 600 ათას ლარს გამოაჰკრას ხელი. 600 ათასი სახუბარო თანხა არაა, მის მისაღებად კი ჩვენი ქვეყნის რჩეულ ფეხბურთელებს „სულ რაღაც“ ორიოდ პირობის შესრულება მოუხდებათ. ამაზე ქვემოთ... მანამდე კი...

აღმასკომის დღის წესრიგი ასეთი იყო: 1. უფასო რეკომენდაციის საფუძველზე სფფ-ის აპარატის ახალი სტრუქტურისა და საშტატო გარეგნის დამტკიცების შესახებ; 2. ინფორმაცია სფფ-ის დელეგაციის უფასო 25-ე და ფიფას 52-ე კონგრესში მონაწილეობის შესახებ; 3. საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული (21 წლამდე) ნაკრებების 2002 წლის მსოფლიოსა და ევროპის შესარჩევ მატჩებში წარმატებული გამოსვლის შემთხვევაში პრემიების სისტემის შესახებ; 4. საქართველოს XI ეროვნული ჩემპიონატისა და თასის X გათამაშების შედეგებისა და 2000/2001 წწ. XII ჩემპიონატისა და თასის XI გათამაშების მსაჯობისა და 2000/2001 წწ. XII ჩემპიონატისა და თასის XI გათამაშების ანგარიშების შესახებ; 6. სხვადასხვა.

აღმასკომის წევრები ორ საათზე შეიკრიბნენ სპორტის დეპარტამენტის სააქტო დარბაზში, საჩქაროდ მაგილებს მიუხსნდნენ და მუშაობას შეუდგნენ. პრინციპში გადასაწყვეტ-გასარჩევ ბევრიც არაფერი ჰქონდათ და ალბათ ამიტომაც, წინა სხდომისგან განსხვავებით, ლერეფანში მოძლიდნენ ჟურნალისტებს ხმაალაი შეძახილები დარბაზიდან არ გესმენია. ორი საათის შემდეგ ჩვენთვის დახურული კარი გაიღო და სფფ-ის პრესატაშემ სარესკონფერენციოდ გვიხმო.

მერაბ ჟორდანიას — როგორც თქვენთვის ცნობილია, უფასო ამასწინდელი გადაწყვეტილებით, აღმასკომის ბიუჯეტის უფლებები უფასო გენერალურ მდივანს გერპარდ აივანერს გადაეცა. ამ გადაწყვეტილებას უფასო შტაბში გვარიანი საკადრო თუ სტრუქტურული ცვლილებები მოჰყვა. ბუნებრივია, უფასო მერ დანერგული სახელ მის დაქვემდებარებაში მყოფმა რეგიონალურმა ფედერაციებმაც უნდა განახორ-



სფფ-ს საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარე ვია ფირცხალავა (მარცხნივ) და პრეზიდენტი მერაბ ჟორდანიას

ლიტვურ-იტალიური 6 ქულა 600 000 ლირს

ციელონ. ჩვენც მითითებისამებრ ვიქცევით, ამიტომ, გარკვეული ცვლილებები მოსალოდნელი. უკვე დაავიწყტი შტატების შემცირება და მალე ეს ახალი რეფორმა თვალნათლივ გამოჩენს სასიკეთო შედეგებს.

პრესკონფერენციის დიდი ნაწილი მერაბ ჟორდანიას „დინამოსთან“ დაკავშირებულ პრობლემებს დაუთმო:

— თავის დროზე „დინამოს“ ჰყავდა სამი დამფუძნებელი, ერთ-ერთი მათგანი მე ვახლავართ, დანარჩენი ორი — „დინამოს“ საბჭო და შპს „ბერმუხა“. როდესაც სფფ-ის პრეზიდენტად ამირჩიეს, ყოველგვარი ურთიერთობა გაეწყვიტე „დინამოსთან“... დღეს ვეველამ ვიცით, რომ „დინამოს“ ხსნა რეგისტრაციასა და სერიოზული ინვესტირების მოზიდვას უკავშირდება. რეგისტრაციის გაკვირება კი იმით არის გამოწვეული, რომ „ბერმუხას“ და „დინამოს“ საბჭოს შორის გარკვეული აზრთა სხვადასხვაობაა. დავაა პროცენტული განაწილების შესახებ. ჩვენ მოვითხოვეთ, რომ მხარეები შეთანხმებულიყვნენ. მოლაპარაკების პროცესი წარმატებით მიმდინარეობს. გამოჩნდა საშუალება, რომ რეგისტრაციის

საკითხი მალე გადაწყდეს.

— რეგისტრაციაში გაუტარებლობა „დინამოს“ ჩემპიონატში მონაწილეობას საფრთხეს უქმნის, გარდა ამისა, „მრეტების“ ვალიც გასასტუმრებელია.

— გადაწყვეტილია, „დინამო“ ჩემპიონატში ითამაშებს, საამისო პრობლემა არ არსებობს. რაც შეეხება „მრეტების“ ვალს, შევიცარაბო ფიფას წარმომადგენლებს შევხვდი. ისინი „დინამოს“ მცირე ვალს კიდევ მისცემენ. შეიქმნება ფულის გადახდის ხელსაყრელი გრაფიკი. ამ პრობლემის მოგვარებაში დიდ როლს თამაშობს „მრეტების“ წარმომადგენელი აკა ქავთარაძეც. მასთან ყოველდღიურ კონტაქტში ვარ. ისიც ბევრს ცდილობს, „დინამოს“ პრობლემები არ შეექმნას და ამისთვის მადლობის მეტი რა მეთქმის.

— „დინამო“ ფაქტობრივად ხელფეხმეკრულია, ფიფამ მას ტრანსფერების განხორციელების უფლება შეუჩერა. რაში ხედავთ გამოსავალს?

— „დინამომ“ რომ ფუნქციონირება დაიწყოს, ისევ და ისევ რეგისტრაციის პრობლემა მოსაგვარებელი. კლუბი რომ იურიდიულად ჩამოყალიბდება და ვალებს გაისტუმრებს, ამის მერე ტრან-

სფფ-ის გაიხსნება, ინვესტირების განხორციელება, გარკვეული თანხები სატელევიზიო რეკლამებიდანაც შემოვა და საქმეც აუწყობა.

— ჩემპიონატი ასლოდება, გუნდებს კი საწევრო თანხების გადახდასთან დაკავშირებით გარკვეული პრობლემები აქვთ.

— გუნდი, რომელიც ჩემპიონატში სამონაწილეო თანხას არ წარმოადგენს, სერიოზულად დაისჯება. ასეთი გუნდი ჩემპიონატში ვერ ითამაშებს, ამ პროცესს მკაცრად გავაკონტროლებთ. ისე, მჯერა, ამ მხრივ პრობლემები არ იქნება.

— უმაღლესი ლიგის რამდენ გუნდს აქვს წარმოდგენილი დღეისთვის საწევრო თანხა?

— მხოლოდ „დინამოს“... „დინამო“ პირველია, მათ სრულად შემოიტანეს სფფ-ის სალაროში 22 ათასი ლარი.

— რამდენადაც ვიცით, მოლაპარაკებებს აწარმოებთ „სანეტთან“ სფფ-ს საინტერნეტო გვერდის შექმნასთან დაკავშირებით. რა ეტაპზეა მოლაპარაკებები დღეისთვის?

— „სანეტთან“ მართლაც ვაწარმოებთ მოლაპარაკებას. საინტერნეტო გვერდი უკვე შექმნილია. სხვათა შორის,

საკმაოდ მაღალი ხარისხისაა იგი, დარჩა მხოლოდ ოფიციალური კონტრაქტის გაფორმება, რასაც დღე-ღამეზე მოვაგვარებთ.

მერაბ ჟორდანიას ქართული გუნდების ევროსარბილზე წლებადელი გამოსვლის შედეგების შეფასებაც ვთხოვეთ, მაგრამ პრეზიდენტმა თავი შეიკავა — რაც მოხდა, ვეველაზე მეტად მტკივნეული ჩვენთვის არის, მაგრამ მიზეზებზე მოგვიანებით ვისაუბროთ, რაც არ უნდა იყოს, უფასო თასის გათამაშება ოფიციალურად ჯერაც არ დასრულებულია ქართული გუნდებისთვის.

გუშინდელ აღმასკომის სხდომაზე დელეგატებმა XII ეროვნული ჩემპიონატისა და ქვეყნის თასის გათამაშების კალენდარი დაამტკიცეს, რომლის თანახმადაც 19 აგვისტოს პირველ ტურში ერთმანეთს შეხვდებიან: „დილა“ — „ვიტ ჯორჯია“, „მერანი“ — „კოლხეთი“, „იბერია“ — „ლოკომოტივი“, „გორდა“ — „ბათუმი“, თსუ — „დინამო“, „ტორპედო“ — „სიონი“.

დაბოლოს, გუშინდელი სხდომის უმთავრეს გადაწყვეტილებაზეც ვთქვათ. მერაბ ჟორდანიას ხვალ დღით ეროვნული ნაკრები ირანში მიემგზავრება დღეს ნაკრების წევრები სასიათოეო ინფორმაციას მიიღებენ. აღმასკომმა მიიღო გადაწყვეტილება ეროვნული ნაკრების სერიოზულად პრემიების შესახებ. ჩვენ ვეველაფერს ვაკეთებთ საიმისოდ, რომ ნაკრებმა წარმატებას მიაღწიოს და მჯერა, ბიჭები თავს არ შეივრცხვენენ.

რა დააფინანსა აღმასკომმა... ეროვნული ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის პირველ საგარეო მატჩში ლიგის ნაკრებთან წარმატების შემთხვევაში 100 ათას ლარს მიიღებს. თუ ლმერთმა გადმოგვხვდა და II ოქტომბერს ანკონაში ჩვენებმა იტალიელები დაამარცხეს, პრემიის სახით ნაკრები 300 ათას ლარს მიიღებს. თუ მატჩი ფრედ დასრულდება, პრემია 200 ათასი ლარი იქნება. აღმასკომმა იმაზეც იმსჯელა, რომ თუ პირველ ორ საგარეო მატჩში საქართველოს ეროვნული ნაკრები 2 ქულას აიღებს, ჯდღოდ 100 ათას ლარს მიიღებს. 4 ქულაზე პრემია 300 ათასი ლარი იქნება, ხოლო თუ ყიფიანის და მოძუაშვილის შევირდები ლიტველებსაც და იტალიელებსაც სძლევენ, ისინი, არც მეტი, არც ნაკლები, 600 ათას ლარს მიიღებენ.

მოკლედ, სფფ-მ სერიოზული წინადადება შესთავაზა ეროვნულ ნაკრებს. 180 წუთში ჩასატევი ამბავია, ორი მოგება და 600 ათასი ლარი. შეძლებს თუ არა ეროვნული გუნდი მაქსიმუმის მიღწევას, ამის განსჯა თქვენთვის მოგვიხდება. იმედს კი ვიტოვებთ, რომ ნაკრები ორი მატჩის შემდეგ უპრემიოდ არ დაგვირჩევა.

აღმასკომმა ახალგაზრდული ნაკრების პრემირებაზეც ისაუბრა და გადაწყვიტა, რომ ზურცილავას გუნდი ლიტვასთან სტუმრად გამარჯვების შემთხვევაში 20 ათასი ლარით დაჯილდოვდება.

პაატა კვანტალიანი



აღმასკომის წევრები: ემზარ ზენაიშვილი და ომარ გოგიაშვილი



აღმასკომის გუშინდელი სხდომა სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის დარბაზში გაიმართა

დორტმუნდს ბაიერსა

მელ დაიშავა. ტურის ერთდღობი ფრე კამპურგე...

REUTERS ლევერკუზენიდან

შორისო თასიც. ორი წლის წინ კი მძიმედ...

ვინ იცის, ეგებ ზაპერს მართლაც გადაესხას...

— წლებულსაც, ალბათ, „ბაიერნი“, „ლევერკუზენი“...

მარტო ბუნდესლიგის ქართველი დეპუტანტი...

აახალი მწვრთნელის ახალ გუნდში ტელე და ვერა...

„აიაქსი“, მანამდე კი მორტენსის „ფიორენტინა“...

„აიაქსი“, მანამდე კი მორტენსის „ფიორენტინა“...

„აიაქსი“, მანამდე კი მორტენსის „ფიორენტინა“...

„აიაქსი“, მანამდე კი მორტენსის „ფიორენტინა“...

ბომბარდირი

კირსტენი (ლევერკუზენი) 2

Table with 2 columns: Player Name, Goals Scored



„ლევერკუზენის“ 35 წლის თავდამსხმელმა ულფ კირსტენმა...

გაფრთხილება: კოვია, ჯორჯი, კეტელაერი, შტრანცელი...

პარასკევს დორტმუნდს უკურნებელი სივეთილე შეეყარა...

პარასკევს დორტმუნდს უკურნებელი სივეთილე შეეყარა...

პარასკევს დორტმუნდს უკურნებელი სივეთილე შეეყარა...

პარასკევს დორტმუნდს უკურნებელი სივეთილე შეეყარა...

პარასკევს დორტმუნდს უკურნებელი სივეთილე შეეყარა...

Table with 3 columns: Team Name, Goals Scored, Goals Conceded

გერმანია

I ტური

ფრაიბურგი 4:0 შტუტგარტი 1:0 დრევერი (4), 2:0 ცაიერი (28), 3:0 ბაია (48), 4:0 დორნი (80)...

შალკე 2:1 კიოლნი 1:0 სანდი (12), 2:0 მენზა (37), 2:1 ჰაიტო (89სკ)...

ბაიერი 4:1 ჰერტა 1:0 შოლი (9), 2:1 იანკერი (66), 3:1 ციკლერი (81), 4:1 სალიბამუჯი (88)...

ლევერკუზენი 2:0 ვოლფსბურგი 1:0 2:0 კირსტენი (14, 24ბ)...

დორტმუნდი 1:0 კანსა 1:0 ჰერლინი (61)...

დორტმუნდი 1:0 კანსა 1:0 ჰერლინი (61)...

კაგურაზი 2:2 ვიუნსენი 0:1 აგოსტინო (6), 0:2 მესი (7), 1:2 კრტლერი (34)...

ფრაიბურგი 4:1 ბაიერი 1:0 კლასნი (12), 1:1 კარბი (28), 1:2 კლასნი (38)...

ალანი 3:6 ზანდტ პაული 0:1 კლასნი (12), 1:1 კარბი (28), 1:2 კლასნი (38)...

გლაზგო 0:0 ზაარბრიჰი 1:0 ვალტა (41), 2:0 სანტოსი (57), 3:0 სიუსი (59)...

ფიურტი 4:1 თანცი 1:0 პასენუტლი (20), 1:1 შეკლა (54), 2:1 ფელგენაუერი (68)...


არმიონი 3:1 მსნაბრუკი 1:0 არამიო (22), 1:1 ვილანდი (23), 2:1 ბოდე (71)...

დისნოვი 3:1 ულმი 0:0 იხილეთ შედეგები გერმანიაში

შტ. პაული 1 1 0 0 6:3 3

სარგებელი





ევანდერ ჰოლიფილდმა მუშტი ძველებურად მხოლოდ მერვე რაუნდის მერე გაიჭნია

ჰოლიფილდი ისტორიას უფერულად, მოსაწყენად და პერაბულად ქმნის

რა აღარ მირტყა, იდაყვი, თაჭი, კინალა მუხლიც... დაიჩივლა ჯონ რუისმა

ევანდერ ჰოლიფილდმა (37-4-1), რომელიც ორ თვეში ოცდათვრამეტი წლისა მოიყრება, მეოთხედ მოიპოვა მძიმე წონის მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული. ასოციაციის (ვბა) ვაკანტური ქამრისთვის გამართულ ბრძოლაში, ლას ვეგასში, მან დამთვლელთა ერთხმა გამოთვლით ოცდარვა წლის ჯონ რუისს სძლია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთმა მიმოხილველმა ამ უფერულ, მოსაწყენ ბრძოლაში გამარჯვებულად რუისი მიიჩნია. თავად წაგებულმა თქვა, მიუღ ბრძოლას ვაკანტროლებდი და თუნდაც მინიმალური ქულათა სხვაობა საკვირველად დამრჩაო.


მოხერხებულმა და დუნე ჰოლიფილდმა მერვე რაუნდიდანა გამომილო ხელი, ანუ იმ დროიდან, როცა აშკარა შეიქნა, რომ ბებერი აგებდა და მწვრთნელმა დონ ტანერმა შეუძახა, მიდი, თავი შეაკალიო.

ჰოლიფილდი რომ ვერაგ იღეთთა მოკრივეა, ხომ ცნობილია. თან — მან მშვენიერად იკრივა დარჩენილი ოთხი რაუნდი. თუმცა, რუისს თავის მართლებას შეეძლო „რა აღარ მირტყა, იდაყვი, თაჭი... მიკვირს მუხლი რომ არ ამოძვხო.“ თავის ეშმაკურად ძგერების ოსტატმა კი გაიმარჯვა და იტრაბახა კიდევ. მძიმე წონის ისტორიაში ის პირველია, ოთხჯერ რომ მოუგია ქამარი.

თუმცა, აქ ისიც უნდა ვთქვათ, რომ ამ ბოლო ტიტულის შარავანდი ფერმკრთალია. ასოციაციის (ვბა) ქამარი ხომ მსოფლიოს უდავო ჩემპიონ ლენოქს ლუისს ჩამოერთვა იმის გამო, რომ ფედერაციის (იბფ) ტიტულის დაკვა ამჯობინა. ჰოლიფილდი კი უკვე სხვა მასშტაბის გეგმებს სახავეს — მაიკ ტაისონს მესამედ უნდა დავეჯახო, ასევე მესამედ ვეტაკო ლუისს და მსოფლიოს უდავო ჩემპიონის ტიტული მოვიპოვო. თუმცა, ექსპერტები მეტად ორჭო-



ევანდერ ჰოლიფილდმა ჩემპიონის ქამარი მეოთხედ შემოირტყა



დამთვლელთა გადაწყვეტილებით დაღონებული ჯონ რუისი დაყარულ ტიტულს დასტირის

ფულად აფასებენ ჰოლიფილდის ხვალისდელ დღეს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, უახლოეს ექვს თვეში ტაისონი დაკავებულია, ლუისამდე კი შორი გზაა. დრო ჰოლიფილდის მოკავშირე არაა.

სანამ დიდ ბრძოლაზე დაიწყებდნენ ლაპარაკს, დონ კინგს თითქმის შეურჩევია მორიგი მოწინააღმდეგე 37 ბრძოლის მომგები ევანდერისთვის. ეს გახლავთ მაკანი ლარი დონალი, რომელიც ასოციაციის (ვბა) №3-ე პრეტენდენტია.

„ხალხმა იცის, რომ მსოფლიოს ერთი ნაღდი ჩემპიონი ჰყავს“ — ეს ხმა ლუისის ბანაკიდან აღწევს ჰოლიფილდის ყურამდე.


ალგამბ ბაჩატურიშვილი

პერლა Perla


პ ე რ ლ ა

პერლა Perla

მ ა რ გ ა ლ ი ტ ე ბ ი ს მ ა დ ა ზ ი ა



კოსტავას 47



დარდინი ბაინლისი

ეპ, უიღბლო გამოდგა გერმანული მნიშვნელობის ვარსკვლავის, შტეფან ბაინლისის დებიუტი ბერლინის „ჰერტაში“. მიუნხენის ოლიმპიურ სტადიონზე, „ბაიერნმა“ ბუნდესლიგის გამსსნულ ტურში ბდღვირი ადინა ბერლინელებს — 4:1.

გერმანია
 პირველი ტური დუისბურგში 12 ივლისი
 მმორე ბუნდესლიგა
 01 კვირი (44), 02 მეფედი (63), 12 ციფრი (71)



ფილისის მოგზავნი

შრისტალიის მსოფლიოს თასის მპრობელმა ავსტალიელმა ჯეკი კუპერმა, რომელიც მსოფლიოს თასის მეთერთმეტე გათამაშებისთვის ეშაღება, ამ კვირაში გვარიანი თანხა შემატა თავის ანგარიშს. ჯერ იყო და „ფილისის მობილურ ტელეფონთა“ რეკლამაში იფრინა, მერე ამავე კომპანიის მოწყობილი მცროს ტურნირიც მოიგო ოლიმპიადგარსმომდგარ სამშობლოში, ვიქტორიას შტატის ბულერის მთებში. კუპერს მოწინააღმდეგე კვლავ ძველი ჰყავდა — ამერიკელი ურიკ ბურგოსტი, (მადლი) ვინაც რაღაც სახეობებში სჯაბნის კიდეც ამ ონის.


ჩვილის მოლოდინში



„შნბრამის დიდი პრინცი მეფორმულეთა შორის ფინელმა მიკა ჰაკინენმა მოიგო. მაკლარენელმა მრბოლმა ჰუნგარორინგზე იმარჯვა, ეს ფოტო კი გამარჯვების წინა დღითაა გადაღებული. მიკა თავის ფეხშიძე ცოლს ურიასთან ერთად იყო უნგრეთში. მალე ჰაკინენთან ოჯახში ბავშვი დაიბადება. იმ ჯერ არდაბადებულს ალბათ უკვე მიუწვევია ყური ძრაგათა ბლეილისთვის. ურია სიმ ყოველთვის თან ახლავს ქმარს.

მზადება

ამერიკაში ოლიმპიადისწინა შესარჩევი შეჯიბრებანი გრძელდება. გარი ჰოლ უმცროსი ალბათ მოხვდება მოცურაგეთა ერთგნულ ნაკრებში, რახან ინდიანაპოლისური ტესტების დროს, მხოლოდ 00,13 წამით ჩამორჩენია გამარჯვებულ ნილ უოკერს.



მორი — სპორტსმენი

მოკლედ, ეს კაცი ტყუილად აცდენს დროს ქვეყნის მართვაში. სულით სპორტსმენი იაბონიის პრემიერ-მინისტრი ითშირო მორი ახლა გოლფის მინდორზეა. მის მთავრობას კი პარლამენტისთვის წარუდგენია ბიუჯეტის შესწორებანი, სპორტს მეტი ფული სჭირდებათ. ჩვენის მხრივ დაგძენთ, რომ წლეგანდელი გაზაფხულიდან (მორის პრემიერად გახდომის დროიდან) „სარბიელში“ მისი ბარე ცხრა სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებზე გადაღებული ფოტო დაიბეჭდა.

სარბიელი
 საორტული გაზეთი
 გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
 გამოდის სამაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევის და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ჳოცხვერია
 დირექტორი ბიორბი ოქრომჭაქელიძე
 რედაქტორი თამაზ მიზრიაული
 მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
 ქართული ფეხბურთის რედაქტორი პასტანბ ბზიკაძე
 უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულინაშვილი
 ინფორმაციის რედაქტორი რედაქტორი სოსო კოტორაძე
 ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
 კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
 ფეხბურთის რედაქტორი ქართული განყოფილება კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, უცხოური განყოფილება

გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაქიძე, ზურაბ მეტეკელია, ვანო ოქროპირიძე, ინფორმაციის რედაქტორი ვია ახალაძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე, კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში თუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოღენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტი მია აბზანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გულუაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კვლეღაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შილაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
 გამომშვები ზურაბ ინაშვილი

ჩედაძეის მისამართი:
 თბილისი, ალექსანდრე ყაზვბაძის ბაზარი 42, II კორპუსი, IV სართული.
 საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
 ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
 ელექტრონული პერსონა http://www.sarbieli.com.ge